

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

*სელნაჟერის უფლებით*

**იოსებ ალიშარაშვილი**

**„ლეკიანობა“ და ქართლ-კახეთის  
სამხედრო-თავდაცვითი სისტემა**

*XVIII ს. – XIX ს. 30-იანი წლები*

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

**ა გ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი**

თბილისი 2013

ნაშრომი შესრულებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

*სამეცნიერო ხელმძღვანელი:*  
ისტორიის დოქტორი, სოხუმის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი  
**ავთანდილ კილასონია**

*ოფიციალური ოპონენტები:*

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი **გიორგი ოთხმეზური**

ისტორიის დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი **ბეჟან ხორავა**

დისერტაციის დაცვა შედგება 2013 წლის 26 ივლისს 15<sup>00</sup> საათზე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. № 9;

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

*/თამილა ზვიადაძე/*

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ქართველ ხალხს მტერთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ „ლეკიანობა“ თავისი არსითა და ბუნებით ყველასაგან გამორჩეული და ტრაგიკული მოვლენა იყო.

მისი აქტიური ქრონოლოგიური ფაზა დაახლოებით 100 წელს გაგრძელდა, რამაც გამოიწვია და სისხლისგან დაცვლა ქვეყანა. შემოსევების ინტენსივობა იმდენად მაღალი იყო, რომ ლეკთა ერთ რაზმს გამოდევნებული ქართველები გზაში მარბიელთა სხვა რაზმებს აწყდებოდნენ. მომხდურთათვის არ არსებობდა გამოუყენებელი ნივთი, საგანი და საქონელი. თანაბარი ხალისით იტაცებდნენ ბავშვებს, ქალებს, მამაკაცებს, პირუტყვს...

ქართველი კაცი ყველა ჩრდილო-კავკასიელ მომხდურს „ლეკს“ უწოდებდა, მაგრამ სინამდვილეში ისინი განვითარების არაერთგვაროვან საფეხურზე მყოფ სხვადასხვა ტომებს (ლეკები, ლაკები, ავარიელები, წახურელები, დარგოელები, ყაიტაგელები, დიდოელები და სხვ.) წარმოადგენდნენ, რომლებსაც მხოლოდ ერთი მიზანი – ნადავლი აერთიანებდათ.

XVIII საუკუნის განმავლობაში ქართველ მეფეთა მიერ თავდაცვის სფეროში გატარებულ ღონისძიებათაგან უმრავლესობა სწორედ ლეკთა თავდასხმების შეკავებისკენ იყო მიმართული. თუ XVIII საუკუნემდე ქართველი კაცი ციხე-კოშკებს მიუვალ ხეობებში აკებდა, რათა მტრისათვის შეუძნეველი და მიუდგომელი ყოფილიყო, ამ დროისათვის თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა უშუალოდ დასახლებულ პუნქტებსა და თითოეულ ქალაქ-სოფელში გახდა აუცილებელი.

მიუხედავად იმისა, რომ „ლეკიანობის“ და, საერთოდ, მთის ექსპანსიის პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად შესწავლილია, ვფიქრობთ, მაინც დარჩა ცალკეული საკითხები, რომელთა სათანადო შესწავლა-გადაფასება და დაზუსტება აუცილებელია, მით უმეტეს, რომ ობიექტური კვლევის ხელის შემშლელი საბჭოური იდეოლოგიური წნეხი უკვე აღარ არსებობს და თავისუფალი აზრის გამოხატვას ხელს აღარაფერი უშლის.

**თემის აქტუალობა.** „ლეკიანობა“ იზოლირებული მოვლენა არ ყოფილა და იგი ახლო აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში, ირან-ოსმალეთსა და რუსეთის იმპერიებში განვითარებული სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების ერთობლიობაში უნდა განვიხილოთ.

საუკუნეების განმავლობაში ქართველი და ჩრდილო-კავკასიის ხალხები ხშირად მეგობრობითა და ნათესავობით იყვნენ შეკრულნი და ერთად იბრძოდნენ გარეშე მტრების წინააღმდეგ. იშვიათად გადაუტანიათ ქართველებს დიდი ბრძოლები, რომლებშიც ჩრდილო კავკასიელები მოკავშირეები არ ყოფილიყვნენ. რა მოხდა XVII საუკუნიდან, რატომ დაირღვა ეს მეგობრული და სამოკავშირეო ურთიერთობა? რა მოხდა XX ს. მიწურულს, როდესაც იმიერკავკასიელთა გარკვეული ნაწილი აქტიურად ჩაება რუსეთის ანტიქართული ზრახვების განხორციელებაში. რა არის საერთო ამ მოვლენებში და სად ვეძებოთ ისტორიის პარალელები? ასეთია მთავარი კითხვა, რაც პრობლემათა დაინტერესებას ზრდის, მხოლოდ წარსულის განყენებულ შემეცნებაზე არ გვაჯერებს და დღესაც აქტუალურია.

**კვლევის ობიექტი.** „ლეკიანობა“ ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო და ჩვენი კვლევის დიდი ნაწილიც XVIII საუკუნესა და XIX ს. I მეოთხედში ქართლ-კახეთში შექმნილ ვითარებას ასახავს, მაგრამ ნაწილობრივ საქართველოს სხვა კუთხეებში განვითარებულ პროცესებსაც ვეხებით, რადგან სხვა შემთხვევაში საკითხის სრულყოფილი შესწავლა ვერ მოხერხდებოდა.

**კვლევის მეთოდი.** წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მიერ შემუშავებული პრინციპებისა და მეთოდების კომპლექსური გამოყენების საფუძველზე, ესენია: ყოველმხრივობა, ობიექტურობა, სისტემატურობა, ისტორიული, ლოგიკური და დიალექტიკური განვითარების ერთიანობა: წყაროთა და დოკუმენტების პრიორიტეტულობის დადგენა ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, რეტროსპექტული მეთოდებით.

**კვლევის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე.** „ლეკიანობას“ ავტორთა უმრავლესობა განიხილაგდა, როგორც განსაზღვრულ პროცესს ქრონოლოგიურ ჭრილში, რის გამოც პრობლემის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი შეუსწავლელი რჩებოდა.

წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის შევსების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს. იგი ემყარება საკითხის გარშემო არსებულ ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობას, ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს, რომელთა ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში. ნაშრომში გაანალიზებული, დაზუსტებული, გამორკვეული და შეფასებულია „ლეკიანობასთან“ დაკავშირებული არაერთი საკითხი, კერძოდ:

- **შესწავლილია** „ლეკიანობის“ არსი, ბუნება და მისი წარმომშობი მიზეზები;
- **განხილულია** ქართლ-კახეთის სამხედრო-თავდაცვითი სისტემა ამ მოვლენის წინააღმდეგ;
- **გადმოცემულია** ქართლ-კახეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ხალხთა ურთიერთობა უძველესი (ფარნავაზის მეფობის) პერიოდიდან „ლეკიანობის“ ინტენსიურად დაწყებამდე, რის გარეშეც ამ მოვლენის არასრულყოფილ სურათს მივიღებდით;
- **განალიზებულია** „ლეკიანობის“ პროცესი ვრცელი ქრონოლოგიური პერიოდის (XVII-XVIII საუკუნეების მიჯნიდან – XIX ს. 30-იან წლებამდე) განმავლობაში და მისი შედეგები ქართლ-კახეთის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მდგომარეობაზე;
- **გამორკვეულია** რუსეთის საიმპერატორო კარის დამოკიდებულება ქართლ-კახეთში „ლეკიანობის“ წინააღმდეგ მიმართულ ისეთ წარმატებულ ღონისძიებებსა და რეფორმებზე, როგორებიც იყო: ერეკლე II-ს საარტილერიო რეფორმა, სამთამადნო წარმოების დაწყება, ქართლ-კახეთის, ოსმალეთისა და ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ურთიერთობა XVIII ს. 70-იან წლებში და სხვ.;
- **დაზუსტებულია** ლეკებთან გადატანილი მთელი რიგი ბრძოლების (ზედაველას, ქვემოჭალის და სხვ.) თარიღები;
- **უარყოფილია** ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისი (ს. ბრონეესკი, პლ. იოსელიანი) იმასთან დაკავშირებით, თითქოს „ლეკიანობა“ ქართლ-კახეთში რუსული ხელისუფლების დამყარებისთანავე შეწყდა, პირიქით, **გამოვლენილია**, რომ ეს პროცესი XIX ს. 10-იან წლებში არანაკლებ ინტენსიური იყო.

წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი კურსებისა და სპეცკურსების მოსამზადებლად. იგი აგრეთვე დახმარებას გაუწევს საქართველო-ჩრდილო-კავკასიის ურთიერთობათა ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

**ნაშრომის სტრუქტურა:** სადისერტაციო ნაშრომის მოცულობაა 194 გვერდი. იგი შედგება შესავლის, 4 თავისა და 7

ქვეთავისაგან. თან ერთვის დამოწმებული წყაროების, ლიტერატურის სია და ავტორის მიერ შექმნილი რუკები.

**ნაშრომის აპრობაცია:** ნაშრომის ცალკეული ნაწილები სხვადასხვა დროს წარმოდგენილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე.

ნაშრომის აპრობაცია შედგა 2013 წლის 19 ივნისს.

ნაშრომის ძირითადი შედეგები წარმოდგენილია შემდეგ წიგნებსა და სტატიებში, წაკითხულია ქვემოთ მითითებულ კონფერენციებზე:

**ა) მონოგრაფიები:**

1. ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011;
2. აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში. თბ., 2008;
3. ომარ-ხანის თავდასხმები საქართველოზე. თბ., 2007.

**ბ) სტატიები:**

1. შამილის „ნიზამი“ და დავით ბატონიშვილის „სამართალი“- ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებები და კონკრეტული კვლევები. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია 16-17, XI, 2012, თბილისი 2012, თეზისები, გვ. 29-31.
2. კაკაბეთთან (ნიახურას) ბრძოლის შეფასების საკითხისათვის. – ახალი ტრენდები განათლებაში: კვლევა და განვითარება. გორის სასწავლო უნივერსიტეტის მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია თბ., 2011, გვ. 398-402;
3. ქართლ-კახეთის ურთიერთობა ოსმალეთთან XVIII ს. 70-იან წლებში და რუსეთი. – ქართულ-თურქული ურთიერთობები. გორის სასწავლო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია. თბ., 2012, გვ. 11-13;
4. ზედაველას ბრძოლები. – განთიადი. № 5-6. ქუთაისი, 2008, გვ. 153-162;
5. ქართული ჯარის ისტორიიდან (შიდა ქართლის სამ-

დევეროები). – გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 3. თბ., 2012, გვ. 7-17;

6. **ქართული ჯარის ისტორიიდან (საარტილერიო რეფორმა XVIII საუკუნეში).** – განათლება და ინოვაცია. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მე-5 საერთაშორისო კონფერენცია. თბ., 2012, გვ. 290-295.

**გ) კონფერენციები:**

1. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია. გორი, 17. 02. 2013. მოხსენება თემაზე: „ჭარ-ბელაქანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის ისტორიიდან“;
2. კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ისადმი მიძღვნილი მეოთხე სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 04.02. 2012. მოხსენება თემაზე: „ქართული ეკლესიის როლი ქვეყნის თავდაცვაში“;
3. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 11. 07. 2012. მოხსენება თემაზე: „რამდენიმე საარქივო დოკუმენტი ქართლ-კახეთში კრწანისის ბრძოლის შემდეგ შექმნილი ვითარების შესახებ“;
4. კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა. ქ. ახალციხე, 26-30.07.2012. მოხსენება თემაზე: „Кровная месть горцев на Северном Кавказе“.

**ნაშრომის ძირითადი შინაარსი**

შესავალში საზგასმულია თემის აქტუალობა და მისი შემდგომი შესწავლის მიზანშეწონილობა. ასევე მოცემულია ისტორიული მასალებისა და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი.

ლეკიანობის შესახებ მდიდარი დოკუმენტური, ნარატიული და ეთნოგრაფიული მასალები თავმოყრილია საქართველოს ეროვნულ-საისტორიო არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გორისა და თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემულ „აქტებში“.

საკითხის შესახებ პირველწყაროებს წარმოადგენენ XVIII საუკუნეში მოღვაწე ქართველი ავტორები და ისტორიკოსები:

ვახუშტი ბაგრატიონი, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე. თეიმურაზ, იოანე, დავით, ბაგრატ, ვახტანგ ბატონიშვილები. საყურადღებო დოკუმენტური მასალაა მოცემული საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის II და V ტომებში, ცირა დადიანიძის რედაქციით გამოცემულ კრებულებში – „შიდა ქართლი“ (ტ. I-IV) და სხვ.

მნიშვნელოვანია XVIII და XIX ს-ის I მესამედში საქართველოში მყოფ რუს და ევროპელ მოგზაურთა და ოფიციალური პირების: იოჰან გიულდენშტედტის, ედუარდ აიხვალდის, იაკობ რაინგის, დე გრაი დე ფუას, სტეფანე ბურნაშოვის, კაპიტან იაზიკოვის ცნობები და ჩანაწერები.

იოჰან გიულდენშტედტი გარკვეული დროს (1772 წ.) ლეკიანობის „ცხელ წერტილში“, ახალგორში, ცხოვრობდა და არაერთგან მიუთითებს ქართლში ლეკიანობით გამოწვეულ მძიმე შედეგებზე. გიულდენშტედტის მოგზაურობიდან 50 წლის შემდეგ ქართლ-კახეთში ამ მოვლენის თვითმხილველი იყო ედუარდ აიხვალდიც.

1779-1783 წლებში ერეკლეს კარზე იმყოფებოდა რუსეთის რეზიდენტი იაკობ რაინგსიცი, მაგრამ რაინგსი და აიხვალდი ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებს მარტივად ხსნიან და საკითხის შეფასებისას, ძირითადად, რუს ავტორთა ცნობებს (იაზიკოვი, ს. ბურნაშოვი, პ. ბუტკოვი და სხვ.) ეყრდნობიან.

ფრანგი დიპლომატი დე გრაი დე ფუა XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში იმყოფებოდა საქართველოში და ერთი პერიოდი ტოტლებენის ადიუტანტი იყო. იგი თავის მემუარებში რუსეთ-თურქეთის 1768-74 წლების ომის დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს აღწერს და, მათ შორის, ლეკიანობის საკითხსაც ეხება, თუმცა, თვით მოვლენა მას ყოველგვარი ანალიზის გარეშე აქვს მოცემული და მისი ზოგიერთი დასკვნაც არაღამაჯერებელია.

რუსი ავტორებიდან ქართლ-კახეთსა და დაღესტნელებს (შამხალს) შორის თავდაპირველ ურთიერთობებზე ცნობებს გვაწვდიან: ს. ბელოკუროვი, იაზიკოვი, ს. ბურნაშოვი, მ. პოლიევქტოვი და სხვ. მათი ნაწილი მოვლენების თანამედროვეა, რაც აღწერილობას დამაჯერებლობას მატებს. მომდევნო პერიოდის და შედარებით გვიანდელი ხანის რუს ავტორთაგან საქართველოში „ლეკიანობის“ პროცესზე გარკვეული ინფორმაციის მომცემია: პ. ბუტკოვის, ნ. დუბროვინის, ს. ბრონევის, ნ. სმირნოვის, ვ. პოტოს, ო. მარკოვას შრომები. უნდა ითქვას, რომ შეფასება-დასკვნების გაკეთებისას მათი მხრიდან ტენდენციუ-



რობა იშვიათი არ არის. ამ პრობლემას მათი უმრავლესობა შედარებით ობიექტურად აფასებდა 1801 წლის მოვლენების შემდეგ, როდესაც აღნიშნული საკითხი აღმოსავლეთ საქართველოში უშუალოდ საიმპერატორო კარის მოსაგვარებელი გახდა.

ევროპელ და რუს ავტორთა გარდა, საქართველო-ჩრდილო-კავკასიისა და ირან-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საყურადღებო ცნობები აქვთ თურქ ავტორებს: გურჯი ზადეს, ქუნუკ ჩელები ზადესა და აჰმედ ჯევედეთ ფაშას. პირველი ორი XVIII ს. 20-30-იანი წლებში ქართლ-კახეთში განვითარებულ მოვლენებს ეხება, ხოლო ჯევედეთ ფაშა ამავე საუკუნის 70-80-იან წლების მდგომარეობას ასახავს. ამასთან, გურჯი ზადესა და ქუნუკ ჩელები ზადეს თხრობის სტილი აღმოსავლური მაღალფარდოვანებით გამოირჩევა და აღწერილი მოვლენებისას საკუთარი ქვეყნის მიმართ შეფასებებში გადაჭარბებით სუბიექტურნი არიან.

დადესტნისა და ჭარ-ბელაქანის სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი მასალაა მოცემული „დადესტნის ისტორიაში“, ასევე ჩრდილო-კავკასიელი, რუსი და ქართველი ისტორიკოსების: ხ. ხაშავეის, ი. პეტრუშევსკის, გ. ჩანგაშვილის, თ. პაპუაშვილის ნაშრომებში.

„ლეკიანობა“ იმდენად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა XVIII ს. ქართლ-კახეთის ისტორიაში, რომ მომხდურთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირების შესახებ უამრავი ლექსი და თქმულება შეიქმნა, მოსახლეობის აღფრთოვანებას იწვევდა „ლეკების სულთამხუთავის“ – გიორგი თელისძის, პაატა თემურიშივილის, გოგია ხამხაძის, თამრო ვაშლოვანელის, თინა წავკისელის, მაია წყნეთელის ლექებთან ბრძოლის პირადი მაგალითები, ამასთან, კონკრეტული ავტორები თუ ხალხის წიაღიდან წამოსული თქმულებები და ლექსები საყვარელ გმირებს ხშირად დაუჯერებელ და წარმოუდგენელ ამბებსაც მიაწერდნენ.

„ლეკიანობის“ ბუნების შესასწავლად აუცილებელია თვით ჩრდილო-კავკასიელი ხალხების ეკონომიკურ-პოლიტიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის, მათი ყოფა-ცხოვრების, ტრადიციების გაცნობა, რის შესახებაც ძვირფასი მასალებია თავმოყრილი „კავკასიელ მთიელთა შესახებ ცნობების კრებულში“ (იხ: *Сборник сведений о кавказских горцах*, т. I-IX; Тифлис, 1868-1876).

ქართლ-კახეთში ლეკიანობის საკითხის განხილვისას ოსმალეთთან, ირანთან და რუსეთთან ურთიერთობას ვერ ავცდებით. ამ მხრივ აღსანიშნავია ალექსანდრე ცაგარელის, მიხეილ

პოლიეკტოვის, იასე ლორთქიფანიძის, იასე ცინცაძის, გიორგი პაიჭაძის, ოთარ გივინეიშვილის, ნოდარ შენგელიას, ზურაბ შა-რაშენიძის, დავით ჯანელიძის შრომები.

ლეკიანობის საკითხის შესასწავლად ძვირფასი დოკუმენტებია თავმოყრილი: ისიდორე დოლიძის მიერ გამოცემულ „ქართული სამართლის ძეგლებში“, თედო ყორღანიას, ავთანდილ იოსელიანის, შოთა ლომსაძის „ქრონიკებში“, ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით გამოქვეყნებულ დოკუმენტების კრებულებში, ვალერიან მაჭარაძის, თეიმურაზ ბოცვაძის, დავით გვრიტიშვილის, მამია დუმბაძის, ავთანდილ კილასონიას, შოთა ლომსაძის, დარეჯან მეგრელაძის, იასე ცინცაძის, ვახტანგ გამრეკელის, სარგის კაკაბაძის შრომებში.

ქართული სამხედრო-თავდაცვითი სისტემისა და საფორტიფიკაციო საქმის შესწავლის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს: შ. მესხიამ, ვ. ბერიძემ, ა. კლიმიაშვილმა, დ. გოგოლაძემ, ალ. გორგაძემ, ალ. რობაქიძემ, ივ. შაიშველაშვილმა, ქ. ჩხატარაიშვილმა, პ. ზაქარაიამ, ა. გაბინვაძემ, ს. მაკალათიამ, ი. მეგრელიძემ, ს. ბესსონოვმა და ა. შ. ასევე დიდძალი მასალაა თავმოყრილი საქართველოს ისტორიის ნარკვევებში.

**პირველი თავი:** „ლეკიანობის“ არსი, ბუნება და ლექთა ექსპანსიის მიზეზები“; შედგება ორი ქვეთავისგან: 1. „ლეკიანობის არსი და ბუნება“; 2. „ქართლ-კახეთისა და იმიერ-კავკასიის ხალხთა ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, ლექთა ექსპანსიის მიზეზები“.

პირველ ქვეთავში განხილულია „ლეკიანობის“, როგორც მოვლენის არსი, ბუნება და მისი წარმოშობის მიზეზები, რომელიც მთიანი დაღესტნისა და ჭარ-ბელაქანის საშინაო და საგარეო პროცესების ერთობლიობაშია მოცემული. დახასიათებულია XVII-XVIII საუკუნეებში ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მოსახლეობისა და სათემო კავშირების (ჭარის, თალის, ბელაქანის, მუხახის, ჯინისის, კარადულაკის, ბაშ-სუვაგაღის, წახურის და სხვ.) საზოგადოებრივი ყოფის ელემენტები. ჯამაათისა და „შარიათის“ ფუნქციები. „თოხუმების“ (სათემო კავშირების) ვალდებულებები თემში ტრადიციებისა და ადათების დაცვის მიზნით. ლეკების, უზდენების, მუგალების, ინგილოების სოციალური მდგომარეობა და თავისებურებები ჭარ-ბელაქანსა და დაღესტანში. რელიგიური ფენის (ყადიები, მოლები) უფლებები და როლი საზოგადოებაში. დაღესტნელი ბელადებისათვის (ნურსალ-ბეგი, ომარ-ხანი, ყაზი-მოლა, ჰამზათ-ბეგი, შამილი)

დამახასიათებელი სახელმწიფოს მართვის თეოკრატიული და ცენტრალიზებული ბუნება და ამავედროულად, იმამის გარდა, ყველა დანარჩენ მოხელეთათვის რელიგიური და სამხედრო უფლებების მკვეთრი გამიჯვნა.

ფეოდალიზაციის პროცესის დაჩქარება XVI-XVIII საუკუნეებში ჭარბელაქანის უბატონო თემებსა და მთიან დაღესტანში, რაც გამოიხატა კერძო საკუთრებისადმი მძლავრ მისწრაფებაში. მთიელთა ექსპანსიის ძირითადი მიზეზები, კერძოდ, დაღესტნის მეზობელ ჩრდილო-აზერბაიჯანსა და ქართლ-კახეთში არსებული პოლიტიკური ვითარება, მათი მწირი რესურსები და შესაძლებლობები მთის მოსახლეობის მშვიდობიან ეკონომიკურ პროცესებში ჩართვის მიზნით. ჩრდილო-კავკასიის მკაცრი კლიმატური პირობების შედეგად, მოწვეული მოსავალი მთის მოსახლეობას მხოლოდ 3-4 თვეს ჰყოფნიდა, რაც ნაწილობრივ იმიტაც იყო განპირობებული, რომ მთის ჩქარი მდინარეები ირიგაციის საშუალებას არ იძლეოდა. მთიან დაღესტანში ოჯახურ მეურნეობაში მამაკაცს ტრადიციულად ძალზე სუსტი როლი ჰქონდა, სამაგიეროდ, ყაჩაღობა და თარეში თავისუფლებისმოყვარე მთიელისათვის ვაჟკაცობის, ჯიგიტობის სინონიმი იყო.

„ლეკიანობის“ ეკონომიკური ფაქტორის გარკვევისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია ტყვეებით მოვაჭრეთა მთავარი „ინვესტორი“ – ოსმალეთი. XVII-XVIII საუკუნეებში ტყვეთა ვაჭრობა მსოფლიოში ყველაზე შემოსავლიან საქმედ იქცა. ქართული „პროდუქტი“ სტამბოლ-კაიროს ტყვეთა ბაზრებზე საკმაოდ კონკურენტუნარიანი იყო, ამიტომ ოსმალთა მოხელეები ფულს ხალისით დებდნენ და აფინანსებდნენ დაღესტნელ აბრაგთა მტაცებელურ დაშქრობებს ქართლ-კახეთში.

გარდა ეკონომიკური მოტივაციისა, დაღესტნელთა შემოსევებს რელიგიური და სოციალური ფაქტორებიც განაპირობებდა. სულის ხსნის მიზნით, ისინი ძარცვა-გლეჯასა და თარეშს „ჰაზავათის“ (წმინდა ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ) ნაწილადაც მიიხსენებდნენ. ამდენად, შეცდომა იქნებოდა, „ლეკიანობა“ მხოლოდ ეთნიკურ ჭრილში გაგვეხილა. დაღესტნელებისათვის მთავარი ტყვე-ნადავლის ხარისხი და ფასი იყო და არა მისი ეროვნული კუთვნილება. საუბედუროდ, ზემონათქვამ ტყვეთა ბაზრებზე ქართველი ყველაზე ძვირად ფასობდა. რაც შეეხება რელიგიურ ფაქტორს, დაღესტნელები არანაკლები ხალისით არბევდნენ ჩრდ. ირანის, სტავროპოლის მხარისა და მეზობელ ერთმორწმუნე პროვინციებსაც.

ქართველებისათვის რიცხობრივად ჭარბ მტერთან ბრძოლა

უცხო არ იყო. მაგრამ ლეკის წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყანას უჭირდა, რადგან მათი ბრძოლის ტაქტიკა ქართველისათვის მიუღებელი იყო. დაღესტანს საქართველოსთან გამოცხადებული ომი არასოდეს ჰქონია. მარბიელთა თარეში ომის კანონებს არ ექვემდებარებოდა. ტრადიციულად, საქართველოში ლაშქრის შეკრება ხდებოდა მეფის დაძახილზე. არსებობდა „ქულზე კაცის“ და „კომლზე კაცის“ წესიც, მაგრამ ასეთი ლაშქრის თავმოყრისათვის რამდენიმე დღე იყო საჭირო. ლეკები დიდი ლაშქრით იშვიათად მოდიოდნენ, ბრძოლას გაურბოდნენ და ძირითადად მცირერიცხოვანი ბრბოებით ქურდულად თავს ესხმოდნენ მშვიდობიან სოფლებს, ყანაში, ვენახსა და ტყეში გასულ გლეხებს, შინ დარჩენილ მათ ოჯახებს, გზად მიმავალ მგზავრებს, იალაღზე გასულ მწყემსებს. მათი თავდასხმების რიცხვი, როგორც წესი, იზრდებოდა მოსავლის აღების დროს, მცირეწლოვნებისა და მოხუცების ამარა დარჩენილ უწიოკებდნენ სახლკარს, ტეხდნენ ციხეებსა და ეკლესია-მონასტრებს, მიჰყავდათ და მიჰქონდათ ყველაფერი, რის წადებასაც მოასწრებდნენ და მოახერხებდნენ. სანამ ქართველი მღევარი შეიყრებოდა, ხშირად ისინი ახერხებდნენ დაღესტანში ან ახალციხეში გადასვლას.

ლეკების წინააღმდეგ ბრძოლას ართულებდა ისიც, რომ მათ შესანიშნავად იცოდნენ დაღესტნიდან გადმოსასვლელი უამრავი გზა-ბილიკი, თანაც მთაში მგზავრობას მიჩვეულნი ამას დღისით თუ ღამით, ნებისმიერი ამინდის პირობებში დაუბრკოლებლად და საოცრად სწრაფად ახერხებდნენ. წინასწარ არავინ იცოდა, როდის, საიდან და რა რაოდენობის ლეკი დაეცემოდა თავს, ამიტომ სიცოცხლის „გარანტია“ ძალზე პირობითი იყო. გამუდმებული თავდასხმების წინააღმდეგ საჭირო იყო ამ ბილიკების, გზა-ხეობების ჩაკეტვა, სანაპირო ციხეებში ჯარის სისტემატური დგომა და მზადყოფნა, რაც იმდროინდელ საქართველოში შეუძლებელი ხდებოდა.

ლეკების ძირითადი პლაცდარმი კახეთზე თავდასასხმელად ჭარ-ბელაქანი იყო. ალაზანს გადმოლახავდნენ, ყარაღაჯის ციხესთან (სიღნაღთან ახლოს) ამოუყვებოდნენ ივრის ხეობას და საგურამომდე აღწევდნენ. ქართლში ისინი ჩრდილოეთიდან, ძირითადად არაგვის ხეობით და ღართისკარის გავლით შემოდდიოდნენ, ახალციხის მხრიდან უფრო „ფართო ასპარეზი“ ჰქონდათ: ბორჯომის, ძამის, ატენის, მანგლისის ხეობებს მოედებოდნენ და თავს ესხმოდნენ წინასწარ შერჩეულ ადგილებს.

XIX ს. დასაწყისიდან „ლეკიანობამ“ ქართლ-კახეთში გარკვეული სახეცვლილება განიცადა. თუ მანამდე ის მშვიდო-

ბიანი მოსახლეობის წინააღმდეგ იყო მიმართული, აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ლეკთა თავდასხმების სამიზნე სულ უფრო და უფრო ხშირად ხდებოდა საქართველოში მდგარი რუსთა მორიგე რაზმები. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ „ლეკიანობა“ უფრო სოციალური მოვლენა იყო და კონკრეტულად ანტიქართულ ხასიათს არ ატარებდა.

**მეორე ქვეთავში:** „*ქართლ-კახეთისა და იმიერ-კავკასიის ხალხთა ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. ლეკთა ექსპანსიის მიზეზები*“, გადმოცემულია ქართლ-კახეთისა და დაღესტნის ურთიერთობები სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე.

განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში იმიერკავკასიის მთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი საქართველოს დროშის ქვეშ შემოდიოდა ყმადნაფიცობის პირობით და გარდა პოლიტიკურისა, ქართული კულტურის ძლიერ გავლენასაც განიცდიდა. საქართველოში ჩამოსული ლეკები ქართველ თავადაზნაურობას უდგებოდნენ მსახურებად, ეწყობოდნენ მიწის მუშებად, მკალავებად, ნახშირის გამომწველებად, ქვის მთლელებად, მკერავებად, დურგლებად, საქონლის მწვემსებად და ა.შ. დროდადრო ისინი აქტიურ ვაჭრობასაც ეწეოდნენ, განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო საქართველოში ლეკურ ნაბდებზე, შალზე, იარაღზე, სამკაულზე, შემოჰქონდათ ბეწვეული, აბრეშუმის პარკი. ასევე პოპულარული იყო ყაბარდული ხურჯინები, შემოჰყავდათ ჩერქეზული ჯიშის ბედაურები. სამაგიეროდ, დაღესტანსა და ჭარში სისტემატურად გაჰქონდათ: მარცვლეული, იარაღის დასამზადებელი ნედლეული, მაგ. სპილენძი, ოქრო და ვერცხლი, მარცვლეული, ღვინო და არაყი.

მდგომარეობა უარესობისაკენ რადიკალურად შეიცვალა თემურ-ლენგის რვაგზის (1386-1403 წწ.) შემოსევების შედეგად, რასაც საქართველოსა და ჩრდილო-კავკასიაში ყოველმხრივი (პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკონომიკური) კრიზისი მოჰყვა. განსაკუთრებით საზიანო იყო საქართველოსთვის იმიერ-კავკასიელი მთიელი მოკავშირეების ჩამოცილება, სადაც თანდათან მაჰმადიანობამ მოიკიდა ფეხი.

XV საუკუნეში ოსმალეთის მიერ ბიზანტიის იმპერიის დაპყრობით, საქართველოს ჩრდილო და სამხრეთ-დასავლეთით, ევროპისაკენ საუკუნოვანი გზა გადაეკეტა, „ბრწყინვალე პორტამ“ შავი ზღვა საკუთრად აქცია, არსებობა შეწყვიტა ტრაპიზონის იმპერიამ, ყირიმის სახანო ოსმალეთის დაქვემდებარებაში მოექცა, ევროპიდან აზიისაკენ მიმავალმა სავაჭრო გზებმა

კავკასიიდან სამხრეთით გადაინაცვლა, ან აფრიკის შემოვლით შეიცვალა, ამიტომ ჩვენმა ქვეყანამ ევროპისათვის სტრატეგიული პარტნიორისა და სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია დაკარგა.

ჩრდილო-კავკასიის მრავალრიცხოვანი ტომები სუნიტური ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცნენ, შესაბამისად, მისი პოლიტიკის გამტარებელი გახდნენ და ქართლ-კახეთის მდიდარი კუთხეები, გამუდმებული შემოსევებითა და ტყვეთა სყიდვით, შემოსავლის ძირითად წყაროდ გაიხადეს.

1579 წელს „ბრწყინვალე პორტამ“ ყოფილ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე ახალციხის საფაშო შექმნა, 1625 წლიდან კი სამცხე საათაბაგოს ქართულმა ფეოდალურმა სამთავრომ არსებობა შეწყვიტა, რომელიც ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ლეკ-ოსმალთა ძირითადი დასაყრდენი გახდა. არც საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო უკეთესი მდგომარეობა. XVII ს. 10-იან წლებში შაჰ-აბასის გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა. მათ ნაფუძვარზე შაჰმა თურქმანული ტომების ჩამოსახლება დაიწყო. ამით ისარგებლეს ლეკებმაც, შაჰის წაქეზებით ნაოხარ კახურ სოფლებში ჩამოსახლება დაიწვეს და გადარჩენილი მოსახლეობის ძარცვა-რბევას მიჰყვეს ხელი. ცოტა ხნით ადრე (1605 წ.), შაჰმა ალექსანდრე კახთა მეფეს ძირძველი ქართული კუთხე კაკ-ენისელი ჩამოართვა და მისგან მუსლიმანური – ელისუს სასულთნო შექმნა, რითაც საქართველოს აღმოსავლეთი ზღუდე მოერღვა და სხვადასხვა მომხდურთ გზა გაეხსნათ ჩვენს ქვეყანაზე სათარეშოდ.

საქართველოს უშუალო მეზობლებიდან აზერბაიჯანი (აღბანეთი) ჯერ კიდევ IX საუკუნეში მოექცა მაჰმადიანური გავლენის ქვეშ და მასზე დაყრდნობა აღარ შეიძლებოდა. ერთადერთი ქრისტიანი ქვეყანა სამხრეთით სომხეთი იყო, მაგრამ მასაც დიდი ხნით ადრე ჰქონდა სახელმწიფოებრიობა დაკარგული და საიმედო მოკავშირედ ვერც ის გამოდგებოდა.

ივანე IV მრისხანეს მიერ ასტრახანის სახანოს დაპყრობით (1556 წ.), რუსეთი უშუალოდ გაუმეზობლდა კავკასიას. მოსკოვის სამთავროს გარშემო გაერთიანებული რუსეთი აშკარად იწყებს მოკავშირეების ძებნას ამიერკავკასიაში. პირველი ამ მხრივ კახეთის სამეფო აღმოჩნდა, რომლის გავლით რუსეთი განჯა-შემახასთან აბრეშუმით ვაჭრობდა და დიდ სარგებელსაც იღებდა. ეს გზა დაღესტან-საშამხლოზე გადიოდა. საშამხლოს მთავარი ოსმალეთის სულთნის ვასალი იყო, რომლის უშუალო მითითებით შამხლის რაზმები იკლებდნენ კახეთის

სასაზღვრო რაიონებს, ამიტომ რუსეთის ჩრდ. კავკასიაში შემოსვლით კახეთიც დაინტერესებული იყო. ჩრდილო-კავკასიაში რუსეთის ჯარის ჩაყენება გამოიწვევდა საშამხლოს მოწვევტას ოსმალეთისაგან და მისი აგრესიის მოგერიება ადვილად მოხერხდებოდა.

რუსეთის გააქტიურებამ კავკასიაში აშკარად გააღიზიანა, ერთი მხრივ, ოსმალეთი და დაღესტანი, ხოლო მეორე მხრივ, სპარსეთი. სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის საერთო-კავკასიურმა ინტერესებმა XVIII საუკუნეში კიდევ უფრო დაძაბა მათ შორის ურთიერთობები. საქართველო ამ ქვეყნების წინააღმდეგობათა ეპიცენტრში მოექცა. ზემოთ ჩამოთვლილმა მიზეზებმა ერთ დროს მშვიდობიანი მეზობლები: ქართლ-კახეთი და ჩრდილო-კავკასიის ხალხები შეურიგებელ მტრებად აქცია, მაგრამ წინააღმდეგობათა კვანძში რამდენიმე ძირითადი მიზეზი მაინც გამოსაყოფია:

ა) XV-XVI საუკუნეებიდან იწყება ოსმალეთის იმპერიის სწრაფი ზრდა, რაც მნიშვნელოვანწილად სამხედრო სფეროს რეორგანიზაციით იყო განპირობებული. სულთნებმა უარი თქვეს არმიის შეკრების ტრადიციულ მეთოდებზე, რომელიც ვილაიეთებიდან დადგენილი რაოდენობის მეომრების (ძირითადად მაღალი და საშუალო წოდების), დაპყრობილი ტერიტორიებიდან იძულებით გამოყვანილ მოსახლეობასა და დაქირავებულ ჯარს ეყრდნობოდა. არმიის ძირითად ბირთვად იქცნენ ე.წ. „იანიჩრები“. ისინი ბავშვობიდანვე სამხედრო სკოლებში გადიოდნენ ფიზიკურ და სულიერ წვრთნას და პროფესიონალ სამხედროებად ყალიბდებოდნენ. „იანიჩრების“ სამხედრო სკოლების შევსება, ძირითადად, სწორედ ბავშვობიდან ტყვედ წაყვანილი ვაჟებით ხდებოდა. საამისოდ საუკეთესო „ნედლეულის“ ბაზა – კავკასია, ხოლო „ნედლეულის“ მიმწოდებელი დაღესტანი იყო; არანაკლები მოთხოვნა იყო კავკასიიდან ტყვედ წაყვანილ „მამელუკებზე“ ოსმალეთის სამხრეთით, ეგვიპტეში.

ბ) რუსეთის იმპერიის საქართველოში დამკვიდრებით ჩრდ. კავკასიის ხალხები ძლიერი ქრისტიანული ქვეყნის გარემოცვაში ექცეოდნენ, რასაც მათგან განსხვავებული სარწმუნოების თავისუფლებისმოყვარე მთიელები იოლად არ შეურიგდებოდნენ, ისინი იმასაც კარგად ხვდებოდნენ, რომ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მათი რიგიც დადგებოდა.

გ) რუსეთის იმპერიის სამხრეთით ზრდა, თავისთავად ზღუდავდა ოსმალეთის გავლენის არეალს, ამიტომ „ბრწყინვალე პორტა“ თანდათანობით აშკარად თუ ფარულად აქეზებდა

და აფინანსებდა დაღესტნელ მთიელთა რაზმებს საქართველოს წინააღმდეგ სათარეშოდ.

დ) ჩრდ. კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობის, კერძოდ, მთის მკაცრი პირობების, მიწის სიმცირისა და მოუსავლიანობის გამო მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის ცხოვრების „სახსრად“ სწორედ ძარცვა-თარეშში და ტყვეებით ვაჭრობა იქცა, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის რისკი ძალზე დიდი იყო. საგულისხმოა, რომ დაღესტნელები თანაბარი ხალისით მოდიოდნენ, როგორც ქართლ-კახეთის სათარეშოდ, ისე ქართველი მეფეების დროშის ქვეშ დაქირავებულთა სახით.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში იმ დროისათვის არსებული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა (სათავადობად დაშლილ-დაქუცმაცებული ქვეყანა, მძიმე დემოგრაფიული ვითარება, ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე, მუდმივი ჯარის არარსებობა და სხვ.) ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ლეკთა გამუდმებული თარეშისთვის და არ იძლეოდა ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებას. საკმარისი იყო ამ სისტემის თუნდაც რომელიმე სეგმენტი შეცვლილიყო (მაგ. XVIII ს. 70-იან წლებში, როცა ერეკლე II-მ გააუქმა ქსნისა და არაგვის საერისთავოები, გავლენის ქვეშ მოაქცია საამილახვრო-საბარათიანო, ხელი მიჰყო სამთამადნო წარმოებას, შექმნა „მორიგე ჯარი“), რომ მისი სასიკეთო შედეგი ქვეყანას უმაღლეს ეტყობოდა და ლეკთა შემოსევებიც მნიშვნელოვნად მცირდებოდა.

„ლეკიანობა“ მნიშვნელოვნად ასუსტებდა ქართული ჯარის შესაძლებლობებს. ქართველი მეფეები ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ, საკუთარი ქვეყნის სამხრეთ ტერიტორიებზე მოქმედებისგან თავი შეეკავებინათ, ან სამხედრო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი ზურგის დასაცავად დაეტოვებინათ. ქვეყნის ხსნა და სიძლიერე მის გაერთიანებაში იყო, რასაც კარგად ხედებოდა საქართველოს სამეფო კარი, მაგრამ ეს კარგად იცოდა მტერმაც, ამიტომ, როგორც კი ამის წინაპირობა შეიქმნებოდა, საპასუხო ენერგიული ქმედებები მათი მხრიდან არ აყოვნებდა.

ევროპისაგან „ზურგნაქცევმა“ საქართველოს სამეფო კარმა ქვეყნის ხსნის მთელი იმედი XVIII საუკუნეში რუსეთს დაუკავშირა, რაც დიდმა და ძლიერმა ქვეყანამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ზემოთქმული განსაკუთრებით მწვავედ გამოსცადა საკუთარ თავზე ერეკლე II-მ სიცოცხლის ბოლო წლებში. ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რუსეთი, რომელიც გარეგნულად ჩვენს ქვეყანას თითქოს ყოველთვის „მფარველად“ ევლი-



ნებოდა, რეალურად შორსმიმავალი საკუთარი მიზნებისათვის იბრძოდა და არა საქართველოს გადასარჩენად. ერეკლე იმასაც ხვდებოდა, რომ რუსეთის ინტერესებში შედიოდა არა ძლიერი საქართველო, რომელიც საკუთარი ძალით მოახერხებდა „ლეკიანობის“ პრობლემის გადაჭრას, არამედ სუსტი, რუსეთს „მავედრებელი“. აქედან გამომდინარეობდა საქართველოს მეფეებისა და ელჩების დახმარების მიღების მიზნით თხოვნებზე მუდმივი „მოუცლელობა“. საიმპერატორო კარი ყოველთვის ახერხებდა წარმოეჩინა, რომ პრობლემებს წყვეტდა არა ქართლ-კახეთი, არამედ რუსეთი.

**მეორე თავი – „ლეკიანობა“ ქართლ-კახეთში (XVIII ს. – XIX ს. 30-იანი წლები).** დაყოფილია სამ ქვეთავად: **პირველ ქვეთავში** განხილულია ლეკიანობა XVIII საუკუნის დასაწყისიდან 40-იანი წლების ბოლომდე. გაანალიზებულია საუკუნის დასაწყისში კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და ვახტანგ VI-ის იძულებითი წესით მოსახლეობის „მყრელობა“, რასაც დიდი წინააღმდეგობები მოჰყვა. ვახტანგისა და დავით იმამ-ყული-ხანის მცდელობები ლეკთა ექსპანსიის შესაჩერებლად. მებატონეთა ძალმომრეობით შეწუხებული და ალაზანს გაღმა გაქცეული კახელი გლეხების „გაღლეკების“ პროცესი.

დავით II იმამ-ყული-ხანისა და ვახტანგ VI-ის იმდროინდელი მიმოწერიდან ცხადი ხდება, რომ კახეთი იმ დროისათვის „ლეკიანობის“ წინააღმდეგ სრულიად უუნაროა, „ლეკიანობის“ წინააღმდეგ ვერც ვახტანგ VI-ის ღონისძიებებმა გამოიღო არსებითი შედეგი. ვახტანგის რუსეთში წასვლის შემდეგ ქართლში „ოსმალთა“ დაიწყო, მაგრამ ლეკებს არც „მფარველი“ ოსმალების დროს შეუწყვეტიათ ქართლ-კახეთის რბევა. ქართლის გამგებლები 1727-35 წლებში – ისაყ-ფაშა, უსუფ ფაშა, ოსმან ფაშა ოსმალ-ქართველთა ჯარით ამაოდ სდევნენ მათ მუხრანთან, ნადარბაზევთან, ნიზბისთან, დიდგორთან, თელათგორთან, ქვიშხეთთან, სურამთან, წრომთან, მეჯვრისხევთან... ლეკთა სხვა რაზმები იმავე დროს საციციანოს, თრიალეთს, საბარათიანოს, ქიზიყს აწიოკებდნენ.

1735 წელსვე „ოსმალთა“ „ყიზილბაშობით“ შეიცვალა, მაგრამ ქართლის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ლეკებისათვის სულ ერთი იყო, ქართლში ყიზილბაშები იბატონებდნენ, თუ ოსმალები, მათთვის ყველაზე მისაღები მტრის ძალმომრეობით დაძაბუნებული და წინააღმდეგობის უნარს მოკლებული ქვეყანა იყო. ამჯერად მათ სპარსელების წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა და ქართლ-კახეთს არც ამ ეტაპზე დააყარეს ხეირი.

დაეცნენ: ყელქცეულს, დირბს, ხვედურეთს, ბებნისს, დუშეთს, ალგეთის ხეობას, კუმისს, ციხე-ქვაბს, სოღანლულს, საკირისა და ატენის ციხეებს და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ „ოსმალობა-ყიზილბაშობის“ დროს ლეკები ქართლ-კახეთის ერთგვარ სამხედრო მოკავშირედ გვევლინებოდნენ. XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული 40-იანი წლების პირველ ნახევრამდე ქართლ-კახეთის ისტორია სავსეა ლეკების – ჯერ ოსმალებთან, ხოლო შემდეგ ყიზილბაშებთან ბრძოლის მაგალითებით და ამ ბრძოლებში უმეტესწილად სწორედ ლეკები იმარჯვებდნენ, რითაც მათ ბატონობას არყვედნენ.

**მეორე ქვეთავში** განხილულია „ლეკიანობა“ ქართლ-კახეთში XVIII საუკუნის II ნახევარში და ლეკთა ექსპანსიის გააქტიურების მიზეზები.

ლეკთა შემოსევებს განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიეცა 1754-1760 წლებში. მთელი ქვეყანა მათი ბრბოებით აივსო. გარდა უამრავი წვრილი შეტაკებისა, ამ პერიოდში ხუნძახის მმართველმა ნურსალ-ბეგმა ორჯერ მოახერხა დიდი ლაშქრის შეკრება, ნადავლის იმედით მთელი დაღესტანი აიყოლია და ქართლ-კახეთზე წამოვიდა, მაგრამ ორჯერვე დამარცხდა (1754 წელს მჭადიჯვართან, 1755 წელს ყვარელთან), ამიტომ ისევ ნაცადი გზა – ქურდ-ავაზაკობა არჩია, ტყეებსა და მიუვალ ხეობებში გამაგრდა და მოულოდნელი თავდასხმებით აწიოკებდა ქართლ-კახეთის სოფლებს.

ქართლ-კახეთში მდგომარეობის შესწავლის მიზნით რუსული ხელისუფლება 1754-56 წლებში თბილისში კაპიტან ოთარ თუმანოვს გზავნის, რომლის მოხსენებით ბარათებში ლეკთა თარეშს დიდი ადგილი აქვს დათმობილი. 1754 წლის 1 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიისადმი გაგზავნილი მისი მოხსენების მიხედვით, მარტო ქართლ-კახეთში ხუთი თვის განმავლობაში (1754 წ. 30 ივნისი – 1754 წ. 1 დეკემბერი), ლეკები 52-ჯერ შემოჭრილან, დაუჭრიათ და მოუკლავთ 145 ქალი და კაცი, ტყვედ წაუყვანიათ – 227; გაუტაციათ 620 სული საქონელი.

იყო წარმატებებიც, მაგ. მჭადიჯვარ-ყვარლის გარდა, აღნიშნულ წლებში ლეკებთან ბრძოლები მოხდა სერასა და ღართისკართან (1756 წ.), ქვიშხეთსა და მჭადიჯვართან (1757 წ.), აგნევთან, ცხინვალსა და ატოცთან (1758 წ.). ერეკლე-თეიმურაზმა მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს ლეკთა ბელადებზე: კოხტასა და ჩონჩოლ-მუსაზე, მაგრამ მუდმივმა თავდასხმებმა ქართლ-კახეთი მნიშვნელოვნად დაასუსტა. თუ რით იყო ლეკთა

ექსპანსიის გაძლიერება 50-იან წლებში განპირობებული, დის-ერტაციაში სათანადო არგუმენტებითაა განმარტებული.

თეიმურაზ II-ის ელჩობას რუსეთში (1760-1762 წწ.) და მის მიერ პრობლემის გადაჭრის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. 60-იანი წლების ბოლოს რუსეთი კავკასიაში შესამჩნევად გააქტიურდა. იგი ოსმალეთთან ომის დაწყებას აპირებდა და მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორ პოზიციას დაიკავებდა იმერეთი და ქართლ-კახეთი. იმერეთის მხარდაჭერის გარანტია სამიმერატორო კარმა ადრევე გაინაღდა, რაც შეეხება ქართლ-კახეთს, თურქეთის საწინააღმდეგოდ ომში ჩაბმა რუსეთს საეჭვოდ მიაჩნდა, რადგან ერეკლეს თავისი სამფლობელოების დაცვა მხოლოდ ლეკებისაგან სჭირდებოდა და თურქეთის მეზობლობის სიმძიმეს არ გრძნობდა.

რუსებს ეჭვის სერიოზული საფუძველი ჰქონდათ. XVIII ს. 60-იან წლებში, 50-იან წლებთან შედარებით, ქართლ-კახეთში სიმშვიდე დამყარდა. ერეკლემ მოახერხა განმდგარი ფეოდალების დამარცხება, დაღესტნელ ბელადთაგან ზოგი დაამარცხა, ზოგი გაიერთგულა, ზოგიც მოისყიდა. ქვეყანა მხოლოდ ლეკების ეპიზოდური თავდასხმებით წუხდებოდა, მათ დამარცხებასაც სამეფო კარი უმეტესწილად ახერხებდა.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავმა ერეკლეს იმედები გაუცრუა და იგი ოსმალეთთან დაახლოების კურსს დაადგა. მეფემ რამდენიმე წარმატებული ელჩობა გაგზავნა სტამბოლში გიორგი (მირზა გურგინა) ენაკოლოფაშვილის სახით. ოსმალეთთან ურთიერთობის დალაგებამ ერეკლეს, მართლაც, ბევრი პრობლემა მოუხსნა. ჯერ იყო და სულთნის ნებართვით ერეკლემ ანატოლიიდან (გიუმიშხანედან) მრავლად ჩამოსახლა სამთამადნო საქმის მცოდნე ბერძნები, ახტალა-ალავერდის მადნები აამუშავა და ქვეყნის შემოსავალი მნიშვნელოვნად გაზარდა. ურთიერთობები დალაგდა ახალციხის სულეიმან ფაშასთანაც.

აღნიშნულ წლებში ერეკლესთან დაახლოებას ესწრაფოდა ომარ-ხანიც, რომელიც ქართლ-კახეთის მეფესთან მოწერილ წერილებში ერთგულებას „შვილების სახელოსა“ და „მამაშვილობის“ ფიცით უმტკიცებდა.

ქართლ-კახეთის მეფის ოსმალეთთან დაახლოება და სხვა დიპლომატიური წარმატებები ირან-რუსეთისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ქერიმ-ხანმა ირანისადმი მორჩილ ქვეყნებს ერეკლეს წინააღმდეგ საომრად მოუწოდა, მაგრამ მისმა სიკვდილმა 1779 წელს ეს გეგმები ჩაშალა. რაც შეეხება რუსეთს, პეტერბურგიდან სასწრაფოდ გამოგზავნეს ქართლის ტახტის მადიებული

ალექსანდრე ბაქარის ძე (ვახტანგ VI-ის შვილიშვილი), რომელსაც აშკარად მფარველობდა, ერთი მხრივ – საიმპერატორო კარი, ხოლო მეორე მხრივ – ირანი.

ერეკლეს მდგომარეობა კვლავ გაურთულდა, რადგან ალექსანდრეს ქართლში საკმაო მომხრე ჰყავდა. მდგომარეობის გამოსწორება ქართლ-კახეთის მეფემ ევროპასთან დაკავშირებით სცადა. მან 1781 და 1782 წლებში ვენეციის სენატსა და ავსტრიის იმპერატორს ელჩები გაუგზავნა შემწეობის მისაღებად, მაგრამ ადგილამდე ვერც ერთმა ვერ ჩააღწია, რაშიც საიმპერატორო კარის ხელი ერია. ერეკლე ახლა რომის პაპის მეშვეობით შეეცადა ვითარების ნორმალიზებას, მაგრამ არც ამას მოჰყოლია რეალური შედეგი. ასევე უშედეგოდ დამთავრდა ყაზარდოელების საქართველოში გადმოსახლების კარგი იდეაც, რითაც მნიშვნელოვნად იზრდებოდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

ერეკლე II ალტერნატივის წინაშე დადგა. მის ქვეყანას „მაჰის სპარსეთი ან სულტანის ოსმალეთი დაიპყრობდა, ან იგი უნდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულიყო“. იმ დროს დამკვიდრებული მოსაზრებით: „...მეორე პერსპექტივა მაინც ნაკლები ბოროტება იყო“. ერეკლემ „ჩათრევას“ „ჩაყოლა“ ამჯობინა და 1783 წლის 24 ივლისს ჩრდ. კავკასიის ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში დაიღო რუსეთ-საქართველოს „მეგობრობის პირობა“ (ტრაქტატი). გარეგნულად ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს ტრაქტატის დადებით საქართველო მეტ სარგებელს იღებდა, ვიდრე რუსეთი. საქართველოში რუსეთის ფეხის მოკიდებამ დიდი შიში დანერგა მთელ ჩრდილო-კავკასიაში, რადგან დიდი სამხედრო ძალის ქვეყანა მათ ახლა არა მარტო ზურგში, არამედ ფლანგზეც მოექცა და ადრე თუ გვიან მათ დამორჩილებასაც მოიწადინებდა. წამოჭრილმა საფრთხემ დაღესტნის დაქსაქსული ტომები კვლავ გააერთიანა.

ოსმალეთმა რუსეთის წინააღმდეგ მთელ კავკასიაში აშკარა თუ ფარული ომი გააჩაღა და სარწმუნოების დასაცავად მოუწოდა აზერბაიჯანულ და ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობას, სულეიმან ახალციხის ფაშას, ომარ-ხანსა და სხვა მთავრებს. იმავე 1783 წელს პეტერბურგში მყოფი ელჩის გარსევან ჭავჭავაძის მეშვეობით, ერეკლემ არაერთხელ შესთავაზა საიმპერატორო კარს ჭარ-ბელაქანზე ერთობლივი ლაშქრობა, მაგრამ ქართველი ელჩი თავის მეფეს ყოველთვის უიმედო პასუხს ატყობინებდა იმპერიის დედაქალაქიდან.

რუსები ერეკლეს იმით ამშვიდებდნენ, რომ რამდენიმე სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს დაღესტნელებზე და ლეკების

საბოლოო განდევნა უახლოესი მომავლის საქმე იყო. ამასთანავე, ისინი შანსს ხელიდან არ უშვებდნენ, რომ მომხდურებთან შეტაკებებში მოპოვებულ წარმატებებში რუსების როლი განსაკუთრებით წარმოეჩინათ, ხოლო ქართველებისა, პირიქით – დაეკნინებინათ. აღნიშნულის დადასტურებაა 1785 წ. 10 აპრილს ქვემოჭაღასთან მომხდარი ბრძოლა, სადაც ახალციხიდან შემოჭრილ 2000 თურქსა და ლეკზე მოპოვებული გამარჯვება ცნობილმა რუსმა ავტორმა – პეტრე ბუტკოვმა მთლიანად მაიორ სენენბერგსა და 200 ვეერს მიაწერა, ხოლო 500 ცხენოსანი ქართველის ბრძოლაში მონაწილეობა გამორიცხა. თუმცა, არსებული დოკუმენტები ნათლად მიუთითებენ ქართველების მონაწილეობას ამ ბრძოლაში, რაც ბუტკოვისათვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო.

ქვემოჭაღას ბრძოლას მალევე მოჰყვა ხუნძახის ბატონის – ომარ-ხანის შემოსევა, რომელმაც 1785 წ. სექტემბერში 20 ათასამდე ლეკი შემოიყარა და საქართველოს კახეთის მხრიდან მოაღვა. აიკლო და დაარბია ერეკლეს მიერ დიდი გარჯის შედგად წამოწეული ახტალა-ალავერდის სამთამადნო საწარმოები, დაარბია ქვემო-ქართლი, ვახანი, გაირეკა ათასობით ტყვე, ფული, საქონელი და უკან მხოლოდ ყოველწლიური ხარკის გადახდის პირობით გაბრუნდა.

ყმადნაფიცი ქვეყნები ერეკლეს ისევ განუდგნენ და ხარკს აღარ იძლეოდნენ. ქვეყნის შემოსავლის „ხერხემალი“ – ახტალა-ალავერდის მადნები ომარ-ხანმა დაანგრია და შემოსავალიც შეწყდა. მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო ზოგიერთი თავადი ახალციხის ფაშასთან გაიქცა და ლეკებთან ერთად ქვეყნის სარბევად წამოვიდა. „ცეცხლზე ნავთს ასხამდა“ ოსმალეთიც. სულთნის კარი ყველა ზომას მიმართავდა და თანხას არ ზოგავდა საიმისოდ, რომ ახალციხის სულეიმან ფაშას ერეკლე რუსული ორიენტაციის შეცვლაში დაერწმუნებინა.

რუსი ისტორიკოსები ცდილობდნენ ქართლ-კახეთში XVIII ს. 80-იან წლებში შექმნილი მძიმე ვითარება ერეკლეს უმოქმედობისათვის მიეწერათ. მაგ. ვ. პოტოს აზრით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა იმის შედეგი იყო, რომ ქართლ-კახეთის მეფე თავდაცვისათვის საჭირო ზომებს არ იღებდა, ორი რუსული ბატალიონი კი მთელი ქვეყნის დაცვას ვერ ახერხებდა. ამის გამო, თითქოს პოტიომკინს საჭიროდ მიუჩნევია საქართველოში ჩამოსულიყო და ერეკლეს დამუქრებოდა, რომ უკან გაიყვანდა რუსულ ძალებს, თუ მეფე ადგილზე შესაბამის ზომებს არ მიიღებდა. ერეკლე იძულებული გამხდარა ადგილობ-

რივი მილიციის ფორმირება მოეხდინა, რათა საზღვრისპირა ტერიტორიები დაეცვა ლეკებისაგან. სინამდვილეში, ჩვენამდე მოღწეული იმდროინდელი დოკუმენტები საპირისპიროს მეტყველებენ.

ჩვენი აზრით, ეს ადგილზე რეალურად არსებული ვითარების არცოდნით გამოწვეული სხვადასხვა „წყაროებზე“ გულუბრყვილო დანდობა კი არა, გამიზნული პროვოკაცია იყო, რომლის მიზანი ერეკლეს უუნარობისა და რუსული ძალების ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში ჩარევის აუცილებლობის ჩვენება იყო. მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ, როდესაც გიორგი XII იძულებული გახდა მოწინააღმდეგე დედინაცვლისა და ნახევარ-ძმებისაგან დასაცავად ყოველწლიურად 5 ათასი ლეკი დაექირაებინა.

**მესამე ქვეთავში** განხილულია „ლეკიანობა“ ქართლ-კახეთში რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ (XIX ს. დამდეგიდან – 30-იანი წლების ჩათვლით).

აღმ. საქართველოს დაპყრობის შემდეგ, „ლეკიანობის“ პრობლემა ქართლ-კახეთში უშუალოდ რუსეთის მოსაგვარებელი გახდა. საიმპერატორო კარი კვლავ აქტიურად გამოდიოდა ერთმორწმუნე ხალხის დაცვის ღოზუნგით. თუმცა, მარტივი მიზეზის გამო, ამჯერად იძულებული იყო ჭარ-ბელაქანის პრობლემა იარაღის ძალით გადაეწყვიტა: 1801 წლამდე იგი მხოლოდ „მფარველობაში“ მყოფ ქვეყანას ეხმარებოდა, ხოლო 1801 წლის შემდეგ, ეს ქვეყანა საკუთარ ნაწილად იქცა.

პირველ რიგში მოსაგვარებელ საკითხად ამ ეტაპზე სწორედ ჭარ-ბელაქანის ტერიტორიის შემოერთება იქცა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საინგილო საქართველოს ყოფილ ტერიტორიას წარმოადგენდა.

მეორე: რუსეთს უფრო შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა, იგი ირან-ოსმალეთთან ომების დაწყებას აპირებდა, გამარჯვების შემთხვევაში სამხრეთ კავკასიაში მოხერხებულ პლაცდარმს იქმნიდა.

მესამე: ზურგში სახიფათო და აგრესიული ჭარ-ბელაქანის დაპყრობის გარეშე, რუსეთი ირან-ოსმალეთთან ხსენებულ ომებს ვერ დაიწყებდა.

და მეოთხე, რუსეთი მოხერხებულად სარგებლობდა ადგილობრივი მოსახლეობის იმ ნაწილის აგრესიული განწყობილებით, რომელთაც ლეკთა გაუთავებელი თავდასხმებით არაერთი ახლობელი დაკარგეს და ხალხისთ ერთგვობდნენ დაღესტნელებისა და ჭარ-ბელაქნელების წინააღმდეგ საომარ

ოპერაციებში.

დადესტინელთა „პლაცდარმი“ ქართლზე თავდასასხმელად კვლავ ახალციხე იყო, საიდანაც ფაშას ხელშეწყობით დაუბრკოლებლად გადმოდიოდნენ და არბევდნენ მოსახლეობას.

„ლეკიანობის“ სიმძიმე საკუთარ თავზე რუსებმა მალე იგრძნეს. მიუხედავად რუსი გენერლების მუქარისა, ქართლ-კახეთში ყოველწლიურად ახალციხის მხრიდან ლეკთა შემოსევების შედეგად 300-მდე კომლი ან ნადგურდებოდა, ან, უმთავრესად, ახალციხეში ტყვედ იყიდებოდა. რუსული ხელისუფლების ოფიციალური პირების მიმოწერიდან ჩანს, რომ 1801-1803 წლებში ქართლ-კახეთში ლეკთა შემოსევებს ინტენსიური ხასიათი ჰქონდა, რასაც აქტიურად ხელს უწყობდა ახალციხის შერიფ ფაშა, ხოლო მის უკან ისევ ოფიციალური სტამბოლი იდგა.

რუსებმა გადაწყვიტეს, ლეკიანობის „ბუდე“, ჭარ-ბელაქანი დაემორჩილებინათ და გუღიაკოვის სარდლობით ჭარ-ბელაქანზე ლაშქრობა მოაწყეს. დადებული ზავის თანახმად, ლეკებს ხარკის სახით ყოველწლიურად 1100 ლიტრი (=3520 კგ.) აბრეშუმი უნდა ეხადათ. თუმცა, იმავე წლის ოქტომბერში ლეკებმა პირობა დაარღვიეს და საქართველის ორი მხრიდან შემოუტიეს. რუსი ავტორების მტკიცებების მიუხედავად, ისტორიული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ XIX ს. პირველ ათწლეულში ლეკთა შემოსევები ქართლ-კახეთში არ შემცირებულა.

მთავარმართებლების: პ. ციციანოვის, ივ. გუდოვიჩის, ალ. ტორმასოვის, ფ. პაულუჩის, ნ. რტიშხევის, ა. ერმოლოვის „მთავარი“ საზრუნავი დადესტინელ და ჭარ-ბელაქნელ მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ჭარ-ბელაქანის საკითხი რუსეთმა საბოლოოდ თურქეთთან 1828-1829 წლების ომისა და ახალციხის დაპყრობის შემდეგ გადაწყვიტა. ჭარელები მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა. 1830 წ. 26 თებერვალს თაღის, მუხახის, ჯინიხის, კატეხისა და ბელაქნის თემების მეთაურები პასკევიჩს ეახლნენ და საკუთარი ჯამაათების დანებების შესახებ გადაწყვეტილებები მიართვეს. შემოერთებული ჭარ-ბელაქანი რუსეთმა 1842 წელს ჯერ ცალკე ოლქად გამოყო, ხოლო 1844 წელს სამხედრო ოლქად გადააკეთა და თბილისის გუბერნატორს დაუქვემდებარა. 1860 წელს ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქი – ზაქათალის ოკრუგის სახელწოდებით დადესტინის ოლქში შეიყვანა, რითაც საქართველოს მოძმე ინგილოები კვლავ იძულების წესით ჩამოაშორეს.

1883 წელს სამხედრო მმართველობა გაუქმდა, მაგრამ ზაქათალის ოკრუგი ტფილისის გუბერნიის შემადგენლობაში აღარ

დააბრუნეს. ეს ისტორიული უსამართლობა ნაწილობრივ გასწორდა საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921 წწ.), როცა 1921 წლის კონსტიტუციით საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სახით შემოვიდა სამუსულმანო საქართველო, ანუ ზაქათალის ოლქი (ბათუმის ოლქთან ერთად), მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1922 წელს ამიერკავკასიის ცენტრალურ-აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) დადგენილებით, ზაქათალის ოლქი სხვა ტერიტორიებთან ერთად (სულ 4 553 კვ. კილომეტრი ფართობი 92 600 მცხოვრებით) აზერბაიჯანს გადაეცა.

**მესამე თავში** განხილულია ქართლ-კახეთის სამხედრო-თავდაცვითი სისტემა ლეკიანობის წინააღმდეგ, რომელიც ორი ქვეთავისაგან შედგება: 1) „*სამხედრო-ადმინისტრაციული ღონისძიებები ქვეყნის თავდაცვის მიზნით*“ და 2) „*საფორტიფიკაციო ნაკებობები*“.

პირველ ქვეთავში გაანალიზებულია თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ს მიერ თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმები („სამდევროები“, „მორიგე ჯარი“, „ნოქარი“, „დაქირავებული ჯარი“ „ყარაული“, სადაზვერვო სისტემა, სამთამაღნო, საარტილერიო რეფორმები, თოფისწამლის წარმოება), სასულიერო წოდების მონაწილეობა და როლი ქვეყნის თავდაცვაში, პრობლემები რეფორმების განხორციელების გზებზე და სხვ.

ერეკლეს მიერ შექმნილი ჯარის ყველა სახეობას შესაბამისი წესდება გააჩნდა. „მორიგე“ ჯარში ერთი თვით გადიოდა, „ყარაულსა“ და „მდევარს“ ძირითადად საკუთარი, ან ახლომდებარე ტერიტორიების დაცვა ევალებოდა, „ნოქარი“- დაქირავებული ჯარისკაცი იყო და სხვ., მაგრამ ქვეყანაში მტრის დიდი ძალის შემოსვლის შემთხვევაში, ჯარში გასვლა საკუთარი შეიარაღებით ყველა მამაკაცის უპირველეს მოვალეობად ითვლებოდა და ამ შემთხვევაში ყველა დანარჩენისაგან განსხვავებით, გამონაკლისები არ არსებობდნენ. მეფის დაძახილზე უნდა გამოსულიყო თავადი, აზნაური, გლეხი, თუშ-ფშავ-ხევსური, ყმადნაფიცი ელები და ა. შ.

აქამდე ქვეყნის უშიშროების სისტემა, ძირითადად, ქართლ-კახეთის სათავადოებიდან გამოყვანილ მეომართა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. მოსახლეობის საერთო რაოდენობის დასადგენად შედგენილი იყო სპეციალური დავთრები, ნუსხებში ასევე დადგენილი იყო შეკრების ვადა და შეიარაღების ვალდებულება: ხმალი, თოფი და ა. შ.



„ლაშქრობიდან“ გათავისუფლებული მოსახლეობა, საჭიროებიდან გამომდინარე, გზავნიდა შემცველს, ანუ „ბადალს“, ან იხდიდნენ სხვადასხვა გადასახადებს: „სურსათს“ (ლაშქრის შესანახად დაწესებული გადასახადი ფქვილით, თევზით, ღვინით და ა. შ.), „მახტას“ (გადასახადი ფულით, ან მარცვლეულით), „ქეშიკს“ (მეფის სასახლის დაცვა ქალაქში არ ყოფნის დროს), „ულაყს“ (ოფიციალური პირების მიერ მოსახლეობის კუთვნილი ცხენებით სარგებლობა) და სხვ.

ერეკლე II-ს კარგად ესმოდა, რამდენად მძიმე იყო დაბალი სოციალური ფენისათვის ამდენი ვალდებულებების დაკისრება, მაგრამ, რადგან მუდმივი მტრიანობის პირობებში სხვა გამოსავალი არ იყო, გადასახადებისაგან თავისუფლებოდა მოსახლეობის მხოლოდ ის კატეგორია, რომელიც ქვეყნის თავდაცვის საკითხში განსაკუთრებულ წვლილს შეიტანდა. მაგ.: მეფეს როსტომ ერისთავის ყმები სამი წლით გაუთარხნებია, იმ პირობით, რომ „ქრისტიანობისათვის, თავისი ქვეყნისა და მამულისათვის მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლებში“. ასევე გადასახადებიდან იყვნენ გათავისუფლებულნი არტილერიის სფეროში დასაქმებული პირები და ა. შ.

გამუდმებულმა ლეკიანობამ ქვეყნის მოსახლეობა და, შესაბამისად, თავდაცვითი პოტენციური საგრძნობლად შეამცირა. ლეკებისა და სხვა მომხდურების წინააღმდეგ საბრძოლველად და თავდასაცავად ქართველი მეფეები და ფეოდალები ხშირად მიმართავდნენ ჩრდილო-კავკასიელთა დაქირავებასაც. დაქირავების პირობა იყო გადასახდელი თანხა, საჩუქრები, ბრძოლებში ნაშოვნო ნადავლი და ა. შ. იშვიათი არ იყო ამ მხრივ პოლიტიკური ქორწინებებიც. დაქირავებულთა შორის განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობით ყაზარდოელები და ჩერქეზები გამოირჩეოდნენ. ისინი ერეკლეს დროშის ქვეშ იბრძოდნენ კულბითან, მუხრანთან, კარბთან, გატეხილ ხიდთან, მჭადიჯვართან გამართულ ბრძოლებში.

ერეკლე II ლეკთა თარეშის ასალაგმავად ოსებსაც აქტიურად იყენებდა. თუ ლეკები ღიახვის ხეობით წამოვიდოდნენ, ოსთა რაზმები თამარაშენში უნდა შეკრებილიყვნენ და ლეკები შიდა ქართლისაკენ არ უნდა გამოეშვათ. თუ ლეკები ახალციხიდან წამოვიდოდნენ და ცხინვალისაკენ გაემართებოდნენ, გზას ერეკლე გადაუკეტავდა, ხოლო თუ ლეკები გორისაკენ წამოვიდოდნენ, ოსები ერეკლეს ჯარს უნდა შეერთებოდნენ და ერთობლივად დაეცვათ იგი.

მეორე ქვეთავში გაანალიზებულია ცვლილებები საფორტიფიკაციო ნაგებობების სტრუქტურასა და ფორმებში, რაც აუცილებელი იყო ლეკთა შემოსევების წინააღმდეგ ეფექტური თავდაცვის მიზნით.

XVIII საუკუნეში ქვეყნის ძირითადი პრობლემა „ლეკიანობა“ იყო. ლეკები დიდი ლაშქრითა და არტილერიით იშვიათად მოდიოდნენ, სამაგიეროდ, მათი თავდასხმების ინტენსივობა იყო ძალზე მაღალი, ამიტომ, აღნიშნული პერიოდისათვის თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა თითოეულ ქალაქ-სოფელში გახდა აუცილებელი. აქცენტი, ამ დროისათვის, ძირითადად, თავდაცვითი ნაგებობების რაოდენობაზე კეთდებოდა და არა მის მასშტაბებზე. გრანდიოზული მშენებლობებისათვის არც დრო იყო და არც სახსრები. მთავარი იყო მოსახლეობას სიმაგრეში შესვლა მოესწრო, შემდეგ კი მდევარი, ან მორიგე ჯარი შეებმოდა მომხდურს და უკუაქცევდა.

საფორტიფიკაციო ნაგებობების მართკუთხა ფორმები თანდათანობით წრიულმა შეცვალა, მთა და ხეობები – ბარმა და დასახლებულმა პუნქტებმა. მართალია, ახალი კოშკები ძველთან შედარებით ნაკლები სიმტკიცით გამოირჩეოდნენ, მაგრამ, მოახლოებული მტრის შემჩნევა და შესაბამისი ზომების მიღება გაიოლდა. არქიტექტურის შეცვლა სამშენებლო მასალის ცვლილებამაც განაპირობა. თლილი და ფლეითი კლდის მასალა სიპი ქვით ჩაენაცვლა. სიპი ქვით კუთხის ამოყვანა, ჯერ ერთი, რთული იყო (ამიტომ კუთხეებში ისევ ნათელ კლდეს ხმარობდნენ) და მეორეც, თავდაცვითი ნაგებობების რაოდენობის ზრდამ სამშენებლო მასალაც დიდი რაოდენობით მოითხოვა. კლდე ძნელი დასამუშავებელი იყო და დიდ დროსაც საჭიროებდა, სიპი ქვა კი მდინარეებით უხვ საქართველოში ძნელი საშოვარი არ იყო, როგორც წესი, დასახლებული პუნქტებიც მდინარეებთან ახლოს მდებარეობდა და მშენებელს მასალის ტრანსპორტირება არ უჭირდა.

ცალკეა აღსანიშნავი მშენებლობისათვის აუცილებელი სეგმენტის – კირის დიდი რაოდენობის არსებობაც. კირქვა ნიადაგი ქართლ-კახეთში მრავლად არის და, ამ შემთხვევაშიც, მშენებელს შორს წასვლა არ უწევდა.

დისერტაციის ამავე ნაწილშია განხილული: მინბაშების, მელიქების უფლება-მოვალეობები, ერეკლეს უზარმაზარი როლი ამ თვალსაზრისით და სხვ.

**მეოთხე თავში** გაანალიზებულია ლეკიანობით გამოწვეული უმძიმესი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-დემოგრაფი-

ული შედეგები ქართლ-კახეთისათვის. აღწერილია ყველა კუთხეში (საციციანოში, სამუხრანბატონოში, საამილახვროში, სამაჩაბლოში, საბარათიანოში და სხვ.) ლეკიანობის საუკუნოვანი ძარცვა-რბევით შექმნილი ვითარება.

დისერტაციის ეს ნაწილი, ძირითადად, ეროვნულ-საისტორიო არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოძიებულ დოკუმენტებზეა აგებული და მასში ნათლადაა ნახვენი, რამდენად მტკივნეული იყო მთლიანობაში ეს პროცესი ჩვენი ქვეყნისათვის. მაგ. მარტყოფელი აბრამა კუპრაძე ტყვეობაში თვრამეტ წელიწადს იყო, რუისელი ბუზიაშვილი ფარემუხა – ოც წელს, ლარაძე დათუნა – ოცდათხუთმეტ წელს. 1765 წელს „ავის მიზეზით“ მთელი ნოსტე აყრილა და ქსნის ხეობაში გადასახლებულა. იმავე მიზეზით 1732-1735 წლებში სოფ. ხანდაკის გლეხები დედაწულიანად აყრილან და გადაკარგულან. იყო შემთხვევები, როდესაც ლეკთა ტყვეობაში ორჯერ, სამჯერ ხვდებოდნენ, ოჯახთან ერთად მიჰყავდათ და სხვ.

